საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020123921247120

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/4845 **07 / ივლისი / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარეკის მიმდებარე ტერიტორიაზე (საერთო ფართობი - 140100 $м^2$ (14 ჰა), 2 371 700 ტონა კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის მოპოვების (ID 50072/12554) სკრინინგის განცხადებას.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზღვის დონიდან 450-500 მ სიმაღლეზე, საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარეკის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

სალიცენზიო ობიექტიდან 423 მეტრში და 470 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: 5 გვ., Shape-ფაილი,

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე